ცნობის ფურცელი

№ 1894 ორშაბათი, 12 აგვისტო 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1894

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აგვისტოდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარედ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს **3** მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—48)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ზ. ზ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ფრ. ვ. სოზოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მალალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მალალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე. მიიღებს აგრეთვე საქმეო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუმანოვის სახლი.

ბორჯომში

ექიმი ვ. ღამბაშიძე

იღებს ავადმყოფებს დილის $8^1/_2$—11-მდე და საღამოს 4—6 საათამდე, ყოველ დღე კვირა დღის გარდა.

ბინა: გოფმეისტრის ქუჩაზე, საეკლესიო ქუჩის ასახვევთან, გინცენბერგის ჰ ლი.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიჰ ებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5 | 8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილი სნეულებითს ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ლექსები

განდეგილისა

ავტორის სურათით,

ფასი ათი შაური,

იყიდება: ტფილისში „წერა-კითხ. გამ. საზოგ.“ წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში. (0—12)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ქუთაისში, ვ. ბეჟანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება „ცნობის ფურცელი“-ს №№-ბი, თითო №-რი 3 კ. დამატებით—5 კაპეიკ

ახალი წიგნი

ფიზიოლოგია

დ-რი ფოსტერისა

სურათებით

ფასი 25 კ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ამხ. კიოსკში, ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში.

ახალი წიგნი

შ. არაგვისპირელი

წიგნი მეორე

ფასი 40 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართ. ამხ. მაღაზიაში, ლორის მელიქოვის ქუჩაზე ქ. ტფილისში.

ბებია

ვ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—28)

ახალი ამბავი

◆ საქართველოს ეგზარხოსს, დაუვალებია საქართველოს ეპარქიის ბლაღოჩინებისათვის, ახლო მომავალში წარუდგინონ სია იმ მრევლებისა, სადაც **არავითარი სკოლა არ არის** (არც სამრევლო და არც სამინისტრო) და აგრეთვე იმ მრევლებისა, სადაც სკოლა არსებობს, მაგრამ საჭიროობს ახალს სკოლას.

◆ **ტფილისის სასულიერო სასწავლებლის** ზედამხედველის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ორშანის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ვინოგრადოვი.

◆ **ოზურგეთიდან გვწერენ**: ეს სამი დღეა აქ არის ქუთაისის ვიცე-გუბერნატორი კალაჩოვი.

◆ ონში (რაჭაში) ამ ბოლოს დროს მიწის ძვრამ ძალიან მოუხშირა. 6 აგვისტოს, დილის 5 საათზე, კიდევ მომხდარა ძლიერი მიწის-ძვრა. შეშინებული ხალხი გარედ გამოვარდნილა და აღარ აპირობდა სახლებში შესვლას.

◆ **ვაკიჯვარიდან** (გურია) გვწერენ: ამ დღეებში ადგილობრივმა „სტრაჟნიკმა“ სტ. ჩხაიძემ თოფით მოჰკლა ქართველი მაჰმადიანი ხალვაში. ხალვაშს გზაში შეჰხვედრია ჩხაიძე და მოუთხოვია თოფი, რომელიც თანა ჰქონდა თურმე ხალვაშს. როდესაც ნებით არ მიუცია, ჩხაიძეს ძალით მოუსურვებია წართმევა, მაგრამ ხალვაში გაქცეულა. ამ დროს ჩხაიძეს სასიკვდილოდ დაუჭრია იგი. დაჭრილი მეორე დღეს გარდაიცვალა. აქ მყოფმა მაჰმადიანებმა დიდის პატივით წაასვენეს მოკლულის გვამი.

◆ სოფ. ჭალიდან (გურიაშია) გვწერენ: ამ დღეებში დამე გლეხის ბურჭულაძის სახლს თავს დაეცა სამი შეიარაღებული კაცი. რადგანაც მასპინძელი თოფის სროლით მიეგება, ბოროტ-გამზრახველთ ვერაფერი წაიღეს. ხმაურობაზე მეზობლები შეიკრიბნენ, ამიტომ ქურდებმა თავს უშველეს. ერთს თოფიც-კი დარჩა.

დაბა-სოფლები

სამტრედია (იმერეთი). დღემდის აქეთ ძლიერ ცხელოდა, გოლვისგან ყანები დაზიანდა, შარშანდელ მოუსავლობით შეშინებული ხალხი თითქმის სასოწარკვეთილებას მიეცა. მაგრამ, მოგვხედა ღმერთმა, ეს ოთხი დღეა ზომიერი წვიმები დაიწყო და, თუ არ დაუმატა, იმედი გვაქვს, საკმაო მოსავალი მოგვივა.

ოთხშაბათს, 7 აგვისტოს, დილის 3 საათზე, ცეცხლი წაეკიდა აქაურ სახარაზოებს და ოთხი დუქანი გადაიწვა. დაიწვა აგრეთვე ნივთები და ავეჯი.

ჩვენი „მამები“ თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ქალაქის სისუფთავესა და მოწყობა-მოვლამაზებას. შარშანდელი ბაზრის და მახლობელ ქუჩების წუმპე-ტალახი კარგა ხანია გასუფთავებას თხოულობს. მაგრამ... საჭირო ფული მახლობელ მცხოვრებთა, ხელოსნებსა და ვაჭრებს შორის დიდი ხანია მოკრებილია, მაგრამ საქმის დაწყება ფიქრადაც არავის მოსდის. შემოდგომა-კი ცხვირწინაა: თუ ასტყდა ჩვეულებრივი დაუსრულებელი წვიმა, შენ მტერს, მაშინ კიდევ გვეტყვიან: „ეხლა არ შეიძლებაო“.

„ვაი-ზე ვუი დაემატაო“, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენზე არის გამოჭრილი. როგორც ვუწყით, წელს სიმინდი ძვირი და ძნელი საშოვნელია. ამით სარგებლობენ აქაური მეპურენი და ყოველ გირვანქა გამომცხვარ პურზე ნახევარ კაპეიკს მეტს იღებენ. მახლობელ დაბებსა და ქალაქებში გირვანქა პური ღირს 3 კ., აქ-კი $3^1/_2$ კ. ჰყიდიან. ხორცის ფასს ნუღარ იკითხავთ: ძალზე გამხდარ ხორცით ჰკვებავენ ჩვენ მცხოვრებთ. ამასთან გირვანქას 12 კაპეიკად ჰყიდიან.

კარგი იქნება, ყველა ამას ყურადღება მიექცეს.

მუშა

კულაში (იმერეთი). კულაში სამტრედიის მახლობლად მდებარეობს. სადგურიდან 5 ვერსი იქმნება. ამ მანძილს გაივლით (10 კაპეიკად) „ლინეიკით“, ან სხვა ეტლით. იგი დიდი სოფელია. შეიცავს ორი ათასამდე მოსახლეს. სცხოვრობენ აქ თავადები, აზნაურები, გლეხები, ვაჭრები და სხვანი. არსებობს ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი ვაჟებისა და ამ გვარივე ქალებისა, ორკლასიანი საზოგადო სასწ., სამრევლო სკოლები და სხვ., სადაც ათამდე მასწავლებელი მსახურობს. ცხოვრება აქ ადვილია, თუ კაცი ცოტათი მაინც შრომის-მოყვარეა, რადგანაც მოსავალი უხვი იცის და ყოველ ნაწარმოებს ბაზარი ახლო აქვს. გზა კარგია, ეტლი ურიცხვი და სხ.

და, აი, ამგვარად მორთულ სოფელს დღემდე წიგნთ-საცავ-სამკითხველო არა აქვს. კარგია, ეხლა მაინც შეუდგნენ საქმეს: უკვე შეკრებილია 400 მანეთამდე, რამდენიმე წიგნი, ამორჩეულია ადგილი შენობის ასაგებად და ყველანი გულმხურვალედ ეგიდებიან წიგნთ-საცავის დაარსებას. ვისურვებთ, რომ საქმე საკეთილოდ დაბოლოვებინოთ.

აქეთ ძლიერ კარგი ამინდებია. წვიმა მოვიდა და მოსავალს კარგი თვალი უჩანს. ვენახის გარდა, აქ ყველაფერი უხვია.

ამ ბოლოს დროს ჩვენ სოფელში მუცელა გავრცელდა, უფრო ებრაელთა შორის. სამწუხარო ის არის, რომ ჰმალავენ. მახლობელს თუ ეტყვიან, თორემ ექიმს არ უცხადებენ, რადგანაც ეშინიათ: „ექიმი მოვა, კარბოლის სიმყავეს მოასხამს და ბავშს (პატარებია უფრო ავად) მომიკლავსო“.

მახლობელ სოფელში გუშინ-წინ ერთის გლეხის ცოლი მკვდარი ჰნახეს დილით თავის ორ ბავშს შუა. წინა დღეს ქალი ძალიან მხიარულად იყო. მიზეზი სიკვდილისა არ იციან.

წერილი ქვემო იმერეთიდან

პარკის მოსავალი.—ბაღოსნობა.—სადგ. მუხიანის მნიშვნელობა მდ. რიონის გაღმა-გამოღმა სოფლებისათვის და ამ სოფლებს შორის უგზოობა

წელს აქეთკენ აბრეშუმის ჭია ნაკლებად ჰყავდათ. ვისაც ჰყავდა, მოსავალი მშვენიერი ჰქონდა და ფასებიც გვარიანი იყო: ფუთს 12—15 მან. უიდულობდენ ყველგან. კერძო ფარდულთა პატრონები უფრო მეტს პარკს ყიდულობდენ და უფრო მეტი აგენტები ჰყავდათ სოფელ-სოფელ გაგზავნილი პარკის შესაძენად, ვიდრე ამხანაგობებს, ამისთვის იმათი მოქმედება პარკის ყიდვაში იმდენად ნაყოფიერი არა ყოფილა. პარკის გაჭრობამ დიდი ფული დაატრიალა. ბევრი სოფელელი გაიყვანა ბაზარზე და შეახვედრა უცხოელ ვაჭრებს. ვაჭრობაში უცხოელებზე ნაკლები უნარი არც ჩვენებს გამოუჩენიათ; და ბევრს ადგილას ჩვენებურნი და უცხოელნი ერთად მოქმედებდნენ.

ეს ათი წელიწადია პარკთან ერთად მებაღეობაც დიდს ქონებრივ წარმატებას აძლევს აქაურებს. უმთავრესად თესვენ კომბოსტოს, კარტოფილს, ნესვს, კიტრს და საზამთროს. ასაღებენ ყველა ამას ქუთაისში; უმთავრესად კი სადგურ მუხიანიდან ჰგზავნიან ტფილისს და ბაქო-ბათუმს.

რიონის გაღმა-გამოღმა მხარეები სულ სადგ. მუხიანს ეტანებიან, რისთვისაც აქ ყოველ გაზაფხულ-ზაფხულში დიდი მოძრაობაა და ვაჭრობაც ძლიერ გაჩაღებულია. რიონის გაღმა-გამოღმა სოფლები რომ ხიდით იყოს შეერთებული, მაშინ აქ მეტი მოძრაობა და ვაჭრობა იქნება. მართლაც და მდ. რიონის მარცხენა მხარეზე მდებარე სოფლები, რომელთაც ერთად საჩინოს უწოდებენ, ძლიერ შეწუხებულია უხიდობით. მისვლა-მოსვლა ამ მხრით სწარმოებს ბორნებითა და ნავებით, ისიც მხოლოდ შემოდგომა-ზაფხულში, სხვა დროს კი, წყალდიდობისა გამო, შეუძლებელია მათი ამუშავება.

რიონი აქ რამდენსამე ტოტად მიმდინარეობს, ყოველ წლით მიმართულებას იცვლის: ხან მარ-

ცხენა მხრისაკენ აწვება, ხან მარჯვენა მხრისაკენ, რისთვისაც აქ სამუდამო საბორნე და სანავო ადგილის ამორჩევა შეუძლებელია. მდინარის მიმართულების გამოცვლა სხვა მხრივათაც სახიფათო შეიქნა წელს. როდესაც მარცხენა მხრისაკენ გაიწევს წყალი, გაღმა სოფლების სახნავსათესს მიწებს გამოღმა სტოვებს, რომელთაც გამოღმელები ისაკუთრებენ, შემდეკში მეორე მხრის მკვიდრნი სჩადიან ამასვე, რადგან საზღვრად მდინარეს სთვლიან. ამაზე ორსავე მხარეს დავა და ჩხუბი მოსდით, ხშირად საქმე კაცის კვლითაც თავდება. საჭიროა, რიონის ორსავე მხარეს ქვის სიმაგრეები გაკეთდეს, მაშინ ხიდიც ადვილად გაკეთდება და ადგილების დასაკუთრებაც მოისპობა. როგორც ვიცით, საჩინოს მკვიდრი თავ. კირილე ლორთქიფანიძე სცდილობდა ხიდის" გაკეთებას, მთავრობის წინაშე შუამდგომლობაც აძრა, მაგრამ ამ ბოლოს დროს აღარაფერი ისმის. საჭიროა, ეს საქმე განახლდეს.

ხაჟულიელი

უცხოეთის წვრილი ამბები

ახალი რამ შემოღება ამერიკის ეკკლესიებში. ამერიკის ეკკლესიებში მოსიარულეთათვის სამი რამ მეტად სასიამოვნო შემოიღეს. პირველი გამოგონება ეკუთვნის ქალს, რომელიც იმან სცადა კვირას ნიუიორკში წირვის დროს.

მლოცველთა სასოებით სიჩუმის დროს უცბად ეკკლესიაში გაისმა სტვენა, რომელიც ცნობილს მელოდიას დაჰგალობდა. მლოცავთ მაშინათვე იცნეს სასულიერო საგალობელი შუმანისა, რომელსაც დასტვენდა მისს ლუიზა ტრუაქსი. როცა იმან გაათავა, წირვა განაგრძეს. მაგრამ, ღვთის ჩამოლოცვის შემდეგ, ზოგიერთმა მეგობრებმა სთხოვეს ქალს, რომ კიდევ გაემეორებინა რამე, და იმან დიდის ხელოვნებით დასტვინა მეორე სამღერალი. ამ დღეს ეკკლესიას დიდი შემოსავალი ჰქონდა. ქალსა სთხოვეს, საღამოს ლოცვაზედაც მოსულიყო. იმან თხოვნა შეასრულა და თავმოყრილი მრავალი მლოცველნი დაატკბო ზიბელის რომანსით „ფაუსტი“-დან.

მეორე გამოგონება მლოცავებს არ შეეხება: ის შეეხება მხოლოდ ეკკლესიის კრებულის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობას. ერთი ეკკლესიის წინამძღვარმა საბაკალეინო ვაჭრობა გამართა ეკკლესიის სასარგებლოდ. ჯერ არ იციან, როგორ წავა ამ ახალი ვაჭრობის საქმე, მაგრამ ყველა მორწმუნენი კი აღტაცებულნი არიან იმ აზრით, რომ იმათ შეეძლებათ, თავისს პირად სარგებლობასთან ერთად ეკკლესიასაც მოუტანონ სარგებლობა.

ბოლოს, მესამე შემოღება შემდეგია: ვაშინგტონში ეკკლესიაში ტელეფონებია გაყვანილი. მლოცველს, რომელსაც არ შეუძლიან სახლს თავი დაანებოს, შეუძლიან წირვა-ლოცვა თავის სახლში მოისმინოს. ევროპაში შემოიღეს ამავე აზრით თეატრის ტელეფონები, მხოლოდ ამერიკელებმა უფრო კარგ საქმეს მოახმარეს ის. ვაშინგტონის საეკკლესიო ტელეფონმა ცხადად დაანახვა ხალხს, როგორ დიდს საჭიროებას შეადგენს იგი მცხოვრებთათვის. ეხლა ყველანი დამშვიდდენ, ვინცა სწუხდა, რომ უძლურების და ან საოჯახო საქმის გამო, ვერ ესწრებოდნენ წირვალოცვას. ეხლა იმათ შეუძლიანთ სასოებით მოისმინონ ლოცვები თავის სახლში ტელეფონის შემწეობით.

* *

შაჰი და ძაღლი. ეხლახან სპარსეთის შაჰმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში (ბელგიაში) ბელგიის ერთს უმაღლესი წოდების ქალზე, რომელსაც ვერაგობას აბრალებს.

ამ ქალს ორი მშვენიერი მწევარი—ძაღლი ჰყავდა რომელთაგან ერთი საშინლად მოეწონა სპარსეთია მბრძანებელს.

როცა ეს უამბეს ჰერცოგინას, ის დიდის სიამოვნებით დასთანხმდა, ძაღლი დაეთმო 750 ფრანკად (277 მან. და 50 კაპ).

როგორც კი წაიყვანეს ძაღლი, იმისმა ამხანაგმა, რომელიც სახლში დარჩა, ძალიან მოიწყინა და ყმუილით აიკლო სახლი.

ეს რომ შეიტყო, ჰერცოგინამ, თხოვნით მიმართა შაჰს, დაებრუნებინა ნაყიდი ძაღლი. როდესაც შაჰმა შეიტყო, რისთვის თხოულობდენ ძაღლს, დიდის კმაყოფილებით დაუბრუნა იგი წინანდელს პატრონს.

ჰერცოგინა დიდის სიხარულით მიეგება ძაღლსმხოლოდ (ალბად დავიწყების გამო) შაჰს არ დაუბრუნა ძაღლში მიღებული 750 ფრანკი, რის გამოც საქმე შესდგა სასამართლოში.

როდესაც ქალს მოაგონეს, რომ ის ვალდებულია ფული დაუბრუნოს შახს, ქალმა უპასუხა, რომ ჩემი თხოვნის აღსრულებას შაჰის საჩუქრადა ვსთვლიო.

შაჰი კი სულ სხვანაირად უყურებს საქმეს და საჩუქარი ფიქრადაც არ მოსვლია: ის თავის ფულსა თხოულობს და ამიტომაც საჩივარი შეიტანა სასამართლოში.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აგვისტო

ბუქარესტი. ოდესიდან გაგზავნილ საქონლისათვის დაწესებულ კარანტინის ნაცვლად შემოიღეს მხოლოდ ექიმების ზედამხედაობა.

ყაზანი. შემოდგომის გვალვისაგან და გაზაფხულის სინესტისაგან ნათესები დაზიანდა 12 მაზრაში—23,519 დესეტინა; 4532 დესიატინა ამ დაზიანებულ ნათესისა გაზაფხულზე კვლავ მოიხნა და დაითესა; ივნისში და ივლისში მოსულმა სეტყვამ 12 მაზრაში წაახდინა 17,000 დესეტინა შემოდგომის ნათესისა და 8000 დესეტინა გაზაფხულისა. სეტყვის მიერ გამოწვეული ზარალი 400,000 მან. აღემატება.

ყაზანი. აქ პეტერბურგიდან მოსულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელემ გრაფმა სიუზორმა, გუბერნატორთან ერთად დაათვალიერა ის უბნები, რომელიც ცეცხლმა გადასწვა, აგრეთვე ის უბნებიც, რომელიც ცეცხლის მხრივ საშიშია.

ოდესა. საბერძნეთის მეფის-ძის ნიკოლოზის და დიდის მთავრინას ელენე ვლადიმირის ასულის შეუღლების გამო, ბერძენთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ დაადგინა, გადაიხადოს ბერძენთა ეკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი, დააწესოს ბერძენთა როდოკონაკის დედათა სასწავლებელში ორი სტიპენდია უმაღლესს მეუღლეთა სახელობაზე და ბერძენთა მოხუცთა თავშესაფარში ორი საწოლი.

ხარკოვი. პოლიცმეისტერს ბეზსონოვს ებოძა წმ. ვლადიმირის ორდენი მეოთხე ხარისხისა.

რიგა. ცივი ამინდის გამო ბაღოსნობის გამოფენა და კრება 1903 წლისათვის გადაიდო.

კავკავი. ბესლანში, მეცადინეობის რდოს, კანცელარიის ფანჯრიდან ორის ტყვის სროლით მოკლულ იქმნა ამ ნაწილის ბოქაული ვისოცკი.

პარიზი. ნანტში, ჯართა მეთერთმეტე კორპუსის საგენერალო შტაბის მაიორმა დელალორმა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა იმ მიზეზის გამო, რომ არ მინდა მონაწილეობა მიეღო პოლკოვნიკის სენ-რემის და მაიორ ლერუა-ლადიურის პროცესშიო.

პარიზი. მომავალ კვირას მოლაპარაკება დაიწყება ფრანგთ-სიამს დავის მორიგების თაობაზე. სიამს საელჩო უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც მეამბოხეთ სიამს მხედრობა დაემარცხებინოს; პირ-იქით წესიერება აღდგენილ იქმნაო.

11 აგვისტო

რიაზანი. ამ ზაფხულში მოსულ სეტყვისაგან ზარალი ნაანგარიშევია მილიონ-ნახევარ მანეთისა. თესლის შესაძენად სესხს აძლევენ ხალხსა.

კურსკი. გუბერნიაში მოსავალი საშუალოზე მეტია. სეტყვამ 45 ათასი დესეტინა გაანადგურა; ორი მილიონის ზარალი მოიტანა.

კამიშლოვი. ახალი მოსავალის შვრია კარგის ღირსებისა არ არის; ფუთი სამ აბაზში იყიდება.

პეტერბურგი. კამერ-პაჟს სიამელ პრინცს ჩაკრაბონს მისს უდიდებულესობის ჰუსართა პოლკის კორნეტობა ებოძა.

—სამეურნეო საჭიროებათა გამოკვლევისათვის დაარსებული საბჭო ცირკულიარით აცხადებს: გვეკითხებიან—რაზედ უნდა ჰქონდეს სამაზრო კომიტეტებს ბჭობა, ან რა ფარგალში შესაძლებელია იქ ასეთი ბჭობა—საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს სრული თავისუფლება ეძლევათ სამეურნეო მრეწველობის ეხლანდელს მდგომარეობაზე თავიანთი მსჯელობა წარმოსთქვან და ის საშუალებანიც დაასახელონ, რომელნიც ხელს შეუწყობენ მისს გაუმჯობესობას, ამა თუ იმ ადგილის საჭიროებათა მიხედვით. კომიტეტის მონაწილეთ იმიტომ გამოეცხადება ასეთი ნდობა, რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ისინი ღირსეულად და გულ-დამჯდარად მოეკიდებიან მათდამი რწმუნებულს საგანს და ისეთს არას შეეხებიან, რომელსაც პირ-და-პირი დამოკიდებულება არ აქვს სამეურნეო მრეწველობასთან.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 აგვისტოს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,80
ბერლინზე „	46,27½
პარიზზე „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	99 „
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	100 გაყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ.-მამ. ბანკისა	—
5% 1-ლ. შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	463½ „
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	287½ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88¾ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	—
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	89⅞ „
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	183 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 სათვისტო—ნაშუადღევს 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 სათვისტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს.) წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 სათვისტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 სათვისტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.)

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 სათვისტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.(

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბაროსის, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოდლიუსტისა.

განცხადებანი

ზინ

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

კუკის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754 (წ.).

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
ა. მზარეული—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ღვთის-მოყვარულთა ქრისტიანეთა მიმართ

სოფელი ნაღვარევი, რომელიც მთიულეთშია, დარჩა უეკკლესიოდ, ხალხი კი აქ მეტად ღარიბია და დავიწყებული ყველასაგან. 100 კომლამდე მცხოვრებელია, მაგრამ ორასი კომლიცრომ იყოს, რა მოახერხოს ასეთმა ბეჩავმა ღარიბ-ღატაკმა მთიულმა ხალხმა? აქამდე ღარიბნი და საწყალნი არიან, რომ წლითი-წლამდე მათი საზრდო მხოლოდ სიმინდი და ქერია, რომელსაც ყიდულობენ ქ. კავკავში 110 ვერსის მანძილზე და ტანჯვა ვაებით გადმოაქვთ თავიანთ სახლში.

ამიტომ განვიზრახე მოგროვება ფულისა და აგება ეკკლესიისა. ამ აზრით გამოვითხოვე წიგნი მათ ძალალ-ყოვლად-უსამღვდელოესობის ალექსისაგან, რომ შეწირულებითა და შეწევნითა ხალხისათა აღვაშენო ნაღვარევის სამრევლოში სახლი ღვთისა, წმ. გიორგის სახელობაზე.

ვიმეორებ ამ თხოვნასა, ვხედავ და ვაწუხებ ყველა ღვთის-მოყვარულ მართლ-მადიდებელ ქრისტიანეთა და ვსთხოვ უმორჩილესად შემწეობა აღმოუჩინონ ამ წმიდა საქმესა.

ჩემი ადრესი:

Ст. Млеты. Воен.-Груз. дор., Т. губ. Сборщику доброхотныхъ пожертвованій на постройку новаго храма въ сел. Нагвареви, причетнику Алексѣю Арганашвили. (5—4)

Дозв. ценз. Тифлисъ, 11 Августа, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).